

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

მონაცემები შევსებულია ათას ლარში

	2020 ლარი	2019 ლარი
ფინანსური შემოსავალი	22	1,600
ფინანსური ხარჯი	(0)	(32)
წმინდა შემოსავალი გაუფასურებამდე	21	1,568
რეზერვი გაუფასურების ზარალისთვის	0	312
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ზარალი)	21	1,880
საკომისიოს შემოსავალი სესხების მართვაზე სესხების გაუფასურებით მიღებული შემოსავალი		
უცხოური გაცვლითი მოგება/(ზარალი), წმინდა	(3,757)	500
სხვა შემოსავალი, წმინდა	102	5,328
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	(3,655)	5,828
საოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)	(3,634)	7,708
საოპერაციო ხარჯები	(113)	(7,017)
მოგება/ (ზარალი) საშემოსავლო გადახდით დაბეგვრამდე	(3,747)	691
საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	(0)	(1,010)
საერთო მოგება/(ზარალი)	(3,747)	1,701

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობა	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	30	76
კლიენტზე გაცემული სესხი		
კლიენტზე გაცემული ლიზინგი	0	189
სხვა აქტივები	405	276
ძირითადი საშუალებები	0	286
არამატერიალური აქტივები	0	92
საგადასახადო აქტივები	0	(3)
სულ მიმდინარე აქტივები	435	916
ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	23,035	19,302
საგადასახადო ვალდებულება	13	0
სულ ვალდებულებები	23,048	19,302
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	250	250
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(22,863)	(18,636)
სულ საკუთარი კაპიტალი	(22,863)	(18,636)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	435	916

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2020 ლარი	2019 ლარი
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	(18,635)	(20,336)
წლის საერთო სრული მოგება/(ზარალი)	(4,477)	1,701
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	(23,112)	(18,635)

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნეთ კრედიტი რეგისტრირებული იყო საქართველოში 2014 წლის 17 თებერვალს, 2016 წლის 16 მარტს შეეცვალა სახელი და დაერქვა შპს ტვინო (კომპანია), კომპანიას სრულად ფლობს ლატვიას კანონების შესაბამისად 2015 წელში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება SIA ტვინო, რეგისტრაციის ნომრით 40103919184, რეგისტრირებული მისამართია ლატვია, რიგა LV-1004, მუკუსალას ქ 41, ხოლო შპს ტვინოს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №34 (ნაკვეთი 17), ბ. 1. ხოლო დირექტორი არმანდს ბროკსი, მინდობილი პირი კი ქეთევან მეფარიშვილი

2018 წლის ბოლომდე კომპანიის საქმიანობა იყო მომხმარებლისათვის მოკლევადიანი სესხების შეთავაზება და უმტკიცებოდა მათ 50 ლარიდან 500 ლარამდე სესხს ერთი თვის ვადით, ხოლო განმეორებით სესხისათვის ლიმიტი იზრდებოდა 1000 ლარამდე,

2015 წლის 5 აგვისტოდან კომპანია გადასცემდა (ყიდდა) მომხმარებელზე გაცემულ ყველა სესხს მშობელ კომპანიას, რომელიც მოქმედებს სესხის პლატფორმის სახით ევროკავშირში და უზრუნველყოფს SIA ტვინოსა და მისი შვილობილების (ჯგუფის) დაფინანსებას. კომპანია სამართლიანი ღირებულების გადახდით უკან ყიდულობდა აღნიშნულ გადაცემულ სესხებს, რომლებიც ხდებოდნენ ვადაგადაცილებულები 2015 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულების შესაბამისად. სესხის გადაცემა და ყველა დაკავშირებული ტრანზაქცია ხორციელდებოდა OECD გადაცემის ფასების დირექტივების დაცვით.

2019 წლის 1 იანვრიდან შპს „ტვინო“-მ შეიცვალა საქმიანობის სფერო და გახდა სალიზინგო კომპანია, რომელიც მოიცავდა შემდეგ შინაარსს, სალიზინგო კომპანია არსებული ან/და ახალი კლიენტისგან შეისყიდდა აქტივს (ტელეფონს) და ყოველთვიური სალიზინგო საზღაურის გადახდის სანაცვლოდ ისევ მას გადასცემდა სარგებლობაში; ლიზინგის გადასახადის დაფარვის შემდეგ, აღნიშნული აქტივი (ტელეფონი) ავტომატურად ბრუნდება კლიენტის საკუთრებაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფი

კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	2-6
ავეჯი და მოწყობილობები	3-5
ლიზენზიები	5

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს

და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

იჯარა

იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საიჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები**3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:**

	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
ნაღდი ფული ბანკში	30.00	76.00
ნაღდი ფული ტრანზიტით		
ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები	30.00	76.00

3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
ლიზინგი მომხმარებელს	0	189.00
	0	189.00

3.3. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	123.00	276.00

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალეები არ აქვს.

3.4. გადახდილი ავანსები	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	23.00	23.00
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	35.00	35.00
3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	-	-
3.6. სავაჭრო ვალდებულებები:	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	16.00	34.00
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	22,254.00	1,158.00
3.7. საკუთარი კაპიტალი	<u>12/31/2020</u>	<u>12/31/2019</u>
კაპიტალი	(22,863.00)	(18,635.00)
გაუნაწილებელი მოგება	(4,227.00)	1,701.00

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის
25 სექტემბერს.



მთავარი ბუღალტერი: ანა გოლოძე